



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №29

2016 წლის 1 ივლისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სოფელ მადაროსკარში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.60.28.025) პირველ სართულზე 10კვ.მ ფართის, - ფ/პ გელა ზურაბაშვილისთვის ქირავნობის ფორმით გადასაცემად დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სოფ. მადაროსკარში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.60.28.025) პირველ სართულზე, 10კვ.მ ფართი სარგებლობაში, ქირავნობის ფორმით გადასცეს ფ/პ გელა ზურაბაშვილს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარად წელიწადში.

2. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გივი ზურაბაშვილი